



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქელაძე გიორგი (გოგი) არტემის ძე



გ. მიქელაძე

მიქელაძე გიორგი (გოგი) არტემის ძე (დ. 18. XII. 1946, თბილისი), ფერმწერი, კინოს მხატვარი. დაამთავრა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი (1965) და თბილ. სამხატვრო აკად. ფერწერის ფაკ-ტი (1971). 1973-იდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. მ-ის კოლაჟური აზროვნება და კინემატოგრაფიული ხედვა ზუსტად მიესადაგა ქართ. კინოს წამყვანი რეჟისორების ძიებებს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილმების სახვით გადანაცვებაში. დამდგმელი მხატვარია ფილმებისა: „მშვიდობიანი დღეები“ (1973), „იმედის მწვანე კუნძული“ (1978, ორივეს რეჟ. ო. გვასალია), „სიყვარული ყველას უნდა“ (რეჟ-ები: გ. შენგელაია, მ. ჭიაურელი, 1980), „მოთხრობები პირველ სიყვარულზე“ (1981), „ყველაზე

სწრაფები მსოფლიოში“ (1985, ორივეს რეჟ. გ. მატარაძე), „ცხელი ბაფხულის სამი დღე“ (1981), «ვარიაცია „ოტელოს“ თემაზე» (2003, ორივეს რეჟ. მ. კოკოჩაშვილი), „დღეს ღამე უთენებია“ (1983), „ორომტრიალი“ (1986, ორივეს რეჟ. ლ. ლოღობერიძე), „მონანიება“ (1984, რეჟ. თ. აბულაძე, სსრკ კინოაკადემიის პრემია „ნიკა“, 1989), „ეი, მანქანო!“ (1987, რეჟ. ნ. მანაგაძე, საქართვე. სახელმწ. პრემია „ხუთწლეულის მათიანე“, 1988), „ბედნიანი“ (1992, რეჟ. გ. ლევაშოვ-თუმანიშვილი), „მშრალი ხიდის სიზმრები“ (2003), „სამობაო საჩუქარი“ (2005), „იარე, ლიზა!“ (2022, სამივეს რეჟ. ნ. ჯანელიძე), „გზა მაცხოვრისა“ და „დედაო ღვთისავ“ (2002-03, დოკუმენტური დილოგია, რეჟ. მ. ბორაშვილი; საქართვე. სახელმწ. პრემია, 2004), „რენე მიდის პოლივუდში“ (რეჟ. ა. ცაბაძე, 2010), „სხვისი სახლი“ (რეჟ. რ. გლურჯიძე, 2016).

მ. ნაყოფიერად მუშაობს ფერწერის დარგში. 1970-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. ჯგუფური გამოფენები: „პოპ-არტი“ (1986, თბილისი), საქართვე. სახვითი ხელოვნება (1987, მოსკოვი), გრაფი (1988, ავსტრია), მიუნხენი (1995) და სხვ. პერსონალური: ბერლინი (1996), პიტსბურგი (1999, აშშ), სტამბოლი (2011), ბათუმი (2013), თბილისი (2019); ფერწერული ნამუშევრები: „მგზავრები“, „თეთრი კედელი“, „ცარიელი ოთახი“, „ავტოპორტრეტი“, „თბილისური ფანჯრები“, „თამრიკო“, „მატარებელი“, „თბილისური საღამო“ და სხვ.

მ-ის ნამუშევრები დაცულია ციმერლის ხელოვნებისა (აშშ) და მოსკ. რევოლუციის მუზეუმებში, აგრეთვე – კერძო კოლექციებში.

მ. კერესელიძე
